

მერაბ კეზევაძე

ვარლამ ჭილაძის სტამბისა და
ბამომცემლობის ისტორიისათვის

XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისის ქუთაისის მაღალი კულტურულ-საგანმანათლებლო დონე წიგნიერების ნათელი დამლით იყო დამშვენებული, დამლით, რომელიც საკუთარი დიდი სასტამბო ტრადიციებით იყო განმტკიცებული. ქუთაისში პირველი წიგნის დაბეჭდვიდან (1800 წ.) გასაბჭოებამდე (1921 წ.) დაახლოებით ოცდაათი სტამბა ფუნქციონირებდა, ამთგან სამი იყო სახელმწიფო, დანარჩენი — კერძო, რომელთაგან თითოეულმა საშუალოდ ათი წელი იარსება. კერძო სტამბებს შორის, როგორც არსებობის ხანგრძლივობით, ასევე დაბეჭდილი წიგნების რაოდენობით, ღირსეული ადგილი უჭირავს ვარლამ ჭილაძის (1857-1928 წწ.) სტამბას, რომელიც სხვადასხვა წლებში სხვადასხვა სახელით იწოდებოდა. “ვ. ჭილაძის “კომერციული” სტამბა”, “კომერციული” საბეჭდავი ვ. ჭილაძის და ამხანაგობის”, “ვ. ჭილაძის და ამხანაგობის “კომერციული” სტამბა”, “კომერციული” საბეჭდავი ვ. ი. ჭილაძისა”, “ჭილაძის და ამხანაგობის “კომერციული” საბეჭდავი”.

სანამ უშუალოდ სტამბაზე და იქ დაბეჭდილ პროდუქციაზე ვისაუბრებდეთ, ორიოდ სიტყვით სტამბის მეპატრონის შესახებ.

XIX საუკუნის დასასრულისა და საბჭოთა ხელისუფლებამდელი ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში ღირსეულად ჩანს ვარლამ ივანეს ძე ჭილაძის პიროვნება. ის დაბადებული იყო 1857 წლის 5 ივნისს სოფელ საჯავახოში. მამა, ივანე შედანის ძე ჭილაძე, ადრე გარდაცვლილა და ტყუპი ძმების, ვარლამისა და იესეს (იოსების). აღზრდა დედას, ანა მერაბის ასულ ელიავას და ბიძას, მაქსიმე შედანის ძე ჭილაძეს მოუწიათ (ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, საქმე 985, ფურცელი 1-4). მამით ადრე დაობლებულს, ცოტა ხანს უსწავლია ქუთაისის კლასიკურ გიმნაზიაში, შემდეგ კი თბილისის რეალური სასწავლებელი დაუმთავრებია. 1880 წლიდან ის ქუთაისში ცხოვრობს და, კომერციულ საქმიანობასთან ერთად, ერთგვება ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაში, რაც დასტურდება მისი ქუთაისის საკრებულოს ხანგრძლივი წევრობით (ხმოსნობით) — 1888 წლიდან საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე (ქ.ც.ა; ფ. 108 ს. 1765 ფ. 28). ის იყო საქართველოს ეროვნული დემოკრატიული პარტიის აქტიური წევრი (ქ.ც.ა; ფ. 14 ს. 517 ფ. 3). გარდა ამისა, სხვადასხვა დროს მონაწილეობდა ქუთაისის საკრედიტო ბანკისა და ურთიერთდამზღვევი საზოგადოების მმართველობაში, როგორც მმართველობის წევრი (ქ.ც.ა; ფ. 108 ს. 1765 ფ. 29). ვარლამ ჭილაძემ კომერციული საქმიანობა ფაქტობრივად მწიგნობრობასთან კავშირში დაიწყო, როცა 1880 წელს, თავის ძმა ივანესთან ერთად, შეუამხანაგდა ქუთაისში წიგნის მაღაზიის პატრონს — პ. გერარდს. გაზეთმა “დროებამ” აღნიშნა რა ეს ფაქტი, იმედი გამოთქვა, რომ “ქუთათურების და საზოგადოდ იმერეთის ხალხის კითხვის სურვილის დასაკმაყოფილებლად ისინი შეჰკერძიან პირობით თფილისელ

გამომცემლებს და ქართულ წიგნის მაღაზიას, რომ რა კი ახალი წიგნი გამოვა, იმ წამშივე გაუზზავნონ იმათ ქუთაისში. თუ ზეირიანად წაიყვანენ ამ მაღაზიის გამგეობის საქმეს, უეჭველია, რომ იქაური საზოგადოება კარგად მოუწყობს ხელს წიგნების გასავრცელებლად” (“დროება” 1880, 06.08. N 165, გვ. 4).

გერარდისა და ძმები ჭილაძეების კომერციული ამხანაგობა ხანმოკლე აღმოჩნდა. 1883 წელს ძმებს უკვე საკუთარი წიგნის მაღაზია ჰქონდათ ქუთაისის ცენტრში ალექსანდრეს ქუჩაზე, ანდრონიკაშვილის სახლში — დღევანდელი TBC ბანკის შენობის ადგილზე (“მწყემსი” 1884, 01.04. N 7 გვ. 15, “Кав. кавი”, 1890, გვ. 333), ხოლო მას შემდეგ, რაც ვ. ჭილაძემ თბილისის ქუჩაზე საკუთარი სახლი შეიძინა (ყოფილი ნიკოლაძისეული - ნიკო ნიკოლაძის მამის), მაღაზიაც იქ გადაიტანა.

ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზია წარმოადგენდა თავისებურ ლიტერატურულ-კულტურულ სალონს, რომელიც ქუთაისის (და არამარტო ქუთაისის) ინტელიგენციის თავშეყრის საყვარელი ადგილი იყო. ვასილ ბეჟანეიშვილის (1866-1944 წწ.) მოგონებით, როდესაც ახალსასწავლებელდამთავრებულს უმუშევრად ყოფნა მოუწია, მის ახლო ნათესავს, ქალაქში გამორჩეულ ინტელიგენტს, ლევან გამყრელიძეს, ურჩევია “ვარლამ ჭილაძის წიგნის მაღაზიაში იმუშავე ნოქრადო, იქ მთელი ჩვენი ქართველი მწერლები და მოღვაწეები იკრიბება ყოველ საღამომოებით და ბევრ სასარგებლო რამეს შეიძენო” (გ. ვაჭრიძე, პ. ვაჭრიძე, 1995, გვ. 46). ვასილს, მართლაც, დაუჩერებია კეთილის მსურველისათვის და მუშაობა დაუწყია. მასზე დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ქართველი მწერლებისა და საზოგადო მოღვაწეების საზოგადოებაში ყოფნას. როგორც ის წერს, “აქ ვნახე პირველად აკაკი, რომლის ტკბილმა საუბარმა, სანდომიანმა სახემ, მომზიბვლელი ღიმილით და სასოებით მომგვრელმა თავმდაბლობამ აღტაცებაში მომიყვანა. და როდესაც აკაკიმ პირველად ხელი ჩამომართვა და სრულიად თანასწორი ამხანაგოვით მომიკითხა, მე უბრალო მაღაზიის ნოქარი, ჩემს აღტაცებასა და სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა” (იქვე, გვ. 47). ჩვენი ვარაუდით, აკაკის ამ მაღაზიაში ხშირი სტუმრობა უნდა გამხდარიყო მასთან ვარლამის დაახლოების მიზეზი, უფრო მეტიც, ამ დაახლოებით უნდა მომხდარიყო ვარლამის სამსონ აბაშიძის სიძედ გახდომა. როგორც ცნობილია, სამსონ ივანეს ძე აბაშიძე (1835-1894 წწ.) აკაკი წერეთლის დედის, ეკატერინეს, ახლო ნათესავი იყო. ის საქართველოში 1890 წელს დაბრუნდა და მალე, 1894 წელს გარდაიცვალა. საშსონი, რომელიც ძირითადად “თერგდალეულისა” და “ჯვარელის” ფსევდონიმით იბეჭდებოდა ქართულ პრესაში, ქართველ თერგდალეულთა აქტიური წევრი იყო. მისი ერთადერთი ქალიშვილი, მარგალიტა, გახდა ვარლამის მეუღლე. მარგალიტას დედა, ადელაიდა ალექსანდრეს ასული უხტომსკაია, ცნობილი რუსი იურისტის, ესპერ უხტომსკის და იყო (ს. აბაშიძე, 1957, გვ. 16, 18, 21). ვარლამმა და მარგალიტამ სამი ღირსეული შვილი აღზარდეს.

წიგნის მაღაზიის გახსნას მოჰყვა ვარლამ ჭილაძის საგამომცემლო საქმით დაინტერესება. 1884 წელს მან გაზეთ “დროების” საშუალებით საზოგადოებას აცნობა, რომ შეუძენია აკაკი წერეთლის თხზულებების გამოცემის უფლება — “რადგანაც უფლება აკაკის თხზულების გამოცემისა საკუთრად მე შევიძინე, ამისათვის ვსთხოვ ყველას, რომ მისი ნაწერებიდან, რაც კი დღემდე ყოფილა დაბეჭდილი, აღარავინ გადაბეჭდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოვეპყრობი კანონის ძალით. ვარლამ ჭილაძე” (“დროება”, 1884, N 127 გვ. 4). “დროების” ცნობითვე, სულ მალე მას ილია ქავჭავაძის თხზულებების გამოცემის უფლებაც მიუღია (“დროება”, 1884,

04.10, N 213 გვ. 4). ფაქტობრივად, არ დასტურდება ვარლამ ჭილაძის მიერ ი. ჭავჭავაძის ნაწარმოებების გამოცემა, აკაკის შემოქმედებისა კი მხოლოდ ორი გამოცემა დაგვიტოვა, ესენია:

1. აკაკი (წერეთელი აკაკი). საყმაწვილო ამბები. თფილისი. ძმ. ჭილაძეების გამოცემა, ი. მელიქიშვილის სტ. 1885 წ.

2. აკაკი (წერეთელი აკაკი). გორის ციხე (ველიჩკოსაგან) Кутаись, ძმ. ჭილაძეთა გამოცემა, 1892 წ.

გარდა ამისა, ვ. ჭილაძეს ეკუთვნის სვიმონ გუგუზნავას, დიმიტრი ერისთავის, სილოვან ხუნდაძისა და კოლხიდელის ნაწარმოებთა გამოცემები:

1. გუგუზნავა სვიმონი, თამარიანი, ტფილისი, გამოცემული ძმ. ჭილაძეების მიერ 1888 წ.

2. ერისთავი დიმიტრი. ნაქვთები. ქუთაისი, ძმ. ჭილაძეთა გამოცემა. ნ. გამრეკელოვის სტ. 1891 წ.

3. ხუნდაძე სილოვან. ქართული ზმნები. შედგენილი ს. ხუნდაძის მიერ, ქუთაისი. ძმ. ჭილაძეთა გამოცემა. 1891 წ.

4. კოლხიდელი (დადიანი, გრიგოლ). ლექსთა კრება კოლხიდელისა (გრიგოლ დადიანის). ქუთაისი, გამოცემა ვარლ. ჭილაძისა, ჭილაძის და ამხ. სტ. 1901 წ.

ვარლამ ჭილაძე, როგორც წევრი, აქტიურად მონაწილეობდა 1892 წელს ქუთაისში დაარსებულ “ქართული წიგნის გამომცემელთა ამხანაგობის” საქმიანობაში, რომელმაც 21 დასახელების წიგნი გამოცა (ბ. ვაჭრიძე “როტაციონის ბრუნავს მანქანა”, ქუთ. 1979, გვ. 36, 37).

წიგნების გამოცემა თავისთავად მოითხოვდა სტამბის აუცილებლობას. ვ. ჭილაძემ შექმნა ამხანაგობა და 1900 წელს სტამბა შეიძინა. სტამბის გამართვის დეტალები ჩვენთვის უცნობია. სტამბის მოწყობილობაც უცნობად დარჩებოდა, რომ არა შემდეგი ფაქტი: ცნობილია, რომ ვ. ჭილაძის სტამბა 1909 წელს შეიძინა ბ. კურცხალიამ. ამას ადასტურებს როგორც კურცხალიას ჩანაწერები, ასევე, ქართული სტამბების მკვლევარისა და მემატიაანის ზ. ტიჭინაძის გამოკვლევა (ზ. ტიჭინაძე, 1916, გვ.146). კურცხალიას სტამბა შემდეგში ნაციონალიზებული იქნა. სწორედ ნაციონალიზაციისას შედგენილმა აქტმა შემოგვინახა ჭილაძისეული სტამბის აღწერილობა. შეიძლება მასში რაღაც მოწყობილობები ბ. კურცხალიას შექმნილიც ყოფილიყო, მაგრამ ძირითადი ინვენტარი ძველი სტამბის იყო.

1921 წლის 12 ივნისს შედგენილი აქტიდან ჩანს, რომ ქუთაისის სამაზრო რევეკომს ბაგრატ კურცხალიასაგან ჩაუბარებია სტამბის შემდეგი ინვენტარი:

1. ერთი მსწრაფლმბეჭდავი მანქანა, “აუზბურგის” ფირმის.

2. ტყვიის სხვადასხვანაირი ასოები, ორმოცდაცხრამეტი ფუთი წონის.

3. რუსული და ქართული აფიშის ოცდასამნაირი ასოები.

4. ქალაქის საჭრელი მანქანა, “კრაუზერის” ფირმის და სხვა საჭირო მოწყობილობები. სტამბიდან წაღებული მსწრაფლმბეჭდავი მანქანა პირველი საბჭოთა სტამბისათვის გადაუციათ (ქ.ც.ა; ფ.22, ს.4688, ფ.83, 84).

ვ. ჭილაძის სტამბას მუშაობა წარმატებულად დაუწყო, მაგრამ ათი წლის შემდეგ მუშაობა შეუწყვეტია. ეტყობა, კონკურენციას ვერ გაუძლო. ალბათ, სტამბის მფლობელის დიდი საზოგადოებრივი დატვირთვაც გასათვალისწინებელია, ისევე, როგორც ზ. ტიჭინაძის აზრი, რომლის თქმით, თუ სტამბის პატრონი სტამბის ზედოსანსი (ამწყობი ან მბეჭდავი) არ იქნებოდა, ისე სტამბას ვერ მართავდა.

იზარალებდა, “სტამბა თხოულობს პირველად სტამბისავე ხელობის მცოდნე და სტამბაშივე მცხოვრებს, უამისოდ სტამბა ვერ იმოქმედებს კარგად” (ზ. ჭიჭინაძე, 1916, გვ.148).

როგორც აღვნიშნეთ, სტამბა მოთავსებული იყო ვარლამ ჭილაძის სახლში თბილისის ქუჩაზე, ახლანდელ დავით აღმაშენებლის მოედანზე. სანამ ვარლამი ამ სახლში საკუთარ სტამბას გამართავდა, მანამდე აქ განთავსებული იყო ი. კილაძისა და ი. ხელაძის სტამბა, რომელშიაც პირველი წიგნი 1895 წელს დაიბეჭდა. სავარაუდოდ, ი. კილაძისა და ხელაძის სტამბა აქ უნდა ყოფილიყო 1900 წლამდე-ვიდრე ვარლამი საკუთარ სტამბას აამოქმედებდა.

დღეისათვის მიკვლეულია ვ. ჭილაძის სტამბაში დაბეჭდილი შემდეგი წიგნები:

1. თქმულება წმინდა იოანე დამასკელზე (რუსულიდან). გურულ-მეგრელის მიერ. ქუთაისი, გამოცემა ბ. კურცხალიასი № 1, “კომერციული” საბეჭდავი ვ. ჭილაძის და ამხ; 1900 წ.

2. ინდიური და არაბული ლეგენდები ადამიანის გაჩენაზე და მის ხანგრძლივობაზე. რუსულიდან თარგმნილი გურულ-მეგრელის მიერ. ქუთაისი, ბ. კურცხალიას გამოცემა, № 2, ვ. ჭილაძის “კომერციული” სტ. 1900 წ.

3. ქუთაისის გუბერნიის შორაპნის მაზრის შავი ქვის მწარმოებელთა წესდებულება. ქუთაისი, “კომერციული” საბეჭდავი ვ. ჭილაძის და ამხ. 1900 წ.

4. ხელაძე, გიორგი. წმინდანი მოწამენი დავით და კოსტანტინე; მოწამეთის მონასტერი და მისი დღესასწაული. გადმოდებული მღუდ. გიორგი ხელაძის ბროშურიდან. Кутаись, გამოცემული წ. მოწამეთის მონასტრის არხიმანდრიტის ბესარიონის მიერ, Коммерческая тип. В. Чиладзе и К^о. 1900 წ.

5. გრიმები (გრიმი, იაკობი და გრიმი, ვილჰელმი). ზღაპრები შეკრებილნი ძმ. გრიმების მიერ. ქუთაისი, ქუთათური ამხანაგობის გამოცემა № 17, ვ. ჭილაძის და ამხ. “კომერციული” სტ., 1901წ.

6. კოლხიდელი (დადიანი, გრიგოლ). ლექსთა კრება კოლხიდელისა (გრიგოლ დადიანის). ქუთაისი, გამოცემა ვარლ. ჭილაძისა, ჭილაძის და ამხ. სტ. 1901 წ.

7. სილოვანი (ხუნდაძე, სილოვან). ჩემი აზრი და ფიქრები. წიგნი 1. ქუთაისი, ვ. ჭილაძის და ამხ. “კომერციული” სტ. 1901წ.

8. ქვარიანი, ს(იმონ). ნამყენი ვაზით ვენახის გაშენება (მოკლე დარიგება). ქუთაისი, “ზვარის” ამხ-ბის გამოცემა. ვ. ჭილაძის და ამხ. “კომერციული” სტ. 1901 წ.

9. გიორგობიანი, დ. ჟამი. შედგენილი ქუთათური ექიმების მინდობილობით. Кутаись, ქუთ. ქალაქის გამგეობის გამოცემა Коммерческая тип. В. Чиладзе и Ко. 1902 წ.

10. გორკი, მაქსიმ. მოთხრობანი: 1) წითელი ვასილი, 2) მოთხრობა. თარგმანი ს. რობაქიძისა (ავტორის სურათით). Кутаись, გამოცემა ალ. არაბიძისა, тип. В. Чиладзе и Ко. 1902 წ.

11. მესხი, დ.ს. იმერული სცენები “გასართობი”. პროზა და ლექსი. მეორე გამოცემა, ქუთაისი, ვ. ბეჟანეიშვილის გამოცემა, Коммерческая тип. В. Чиладзе и Ко. 1902 წ.

12. აკაკი (წერეთელი, აკაკი). ორი მოთხრობა. სიკვდილი. სიზმარი. ქუთაისი, ვ. ბეჟანეიშვილისა და მ. ლალიძის გამოცემა, ვ. ი. ჭილაძისა და ამხ. სტ. 1903 წ.

13. გიგაური, ნატალია. ჩვენება (ფანტაზია). ნატალია რ. გიგაურისა. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძისა და ამხ. სტ. 1903 წ.

14. წერეთელი, გ(იორგი). პირველი ნაბიჯი. რომანი გ. წერეთლისა. ქუთაისი, ქუთათური ამხანაგობის გამოცემა № 19, “კომერციული” სტ. ვ. ი. ჭილაძისა და ამხ. 1903 წ.

15. ხუსკივაძე, თეოდ(ილე). ლევან ბატონიშვილი. (ისტორიული მოთხრობა. თეოდ. ხუსკივაძისა. ქუთაისი, ქუთათური ამხ. გამოცემა № 21. ვ. ი. ჭილაძისა და ამხ. “კომერციული” სტ. 1903 წ.

16. ჯიანეტა. პატარა მოქანდაკის დღიური. თარგმანი ა. ი. ნიკოლაძის ასულისა. ქუთაისი, ქუთათური ამხანაგობის გამოცემა № 20, “კომერციული” საბეჭდავი ვ. ი. ჭილაძისა.

17. წესდება ქუთაისის სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეებისა საურთიერთო დამხმარებელი საზოგადოებისა, ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. საბეჭდავი, 1904 წ.

18. წესდება ქუთაისის ქალთა სამეურნეო საზოგადოებისა “შრომა”. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძისა და ამხ. სტ., 1904 წ.

19. აკაკი(წერეთელი). მოხუცის გრძობა(ლექსი). გამოც. ვ. ბეჟანეიშვილისა. კომერციული საბეჭდავი ვ. ჭილაძისა და ამხ., 1905 წ.

20. გუგუშვილი, ანტონ. ლექსები, ამბები და ზღაპრები ანტონ ს. გუგუშვილისა. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1905 წ.

21. ეროვნული თვითმმართველობა. (წერილების კრებული). ქუთაისი, ვ. ი. ბეჟანეიშვილის გამოც., ვ. ი. ჭილაძის სტ., 1905 წ.

22. მალრაძე ამბაკო. გრძობის კარი. ლექსები გამოთქმული ამბაკო ბესარიონის ძე მალრაძისაგან. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1905 წ.

23. საყმაწვილო წიგნების კატალოგი. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1905 წ.

24. ანგარიში ქუთაისის სათავადაზნაურო გიმნაზიის მდგომარეობისა 1904-05 წწ. ქუთაისი, ვ. ჭილაძის სტ., 1906 წ.

25. მესხი, დ. ვინ ჩაგრავეს გლენს. მართალი ზღაპარი. თ. თ. დ. მესხისა. ქუთაისი, ბ. კურცხალიას გამოცემა № 4, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1906 წ.

26. რა უნდა გლენს? თარგმანი გურულ-მეგრელისა. ქუთაისი, ი. ჩიქოვანის გამოცემა, “კომერციული” სტ., ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1906 წ.

27. სერვანტესი, მიგელ დონ-კიხოტი ლამანჩელი. სერვანტესის მოთხრობა (შემოკლებული). თარგმანი დ. ყ-სა. ქუთაისი, “საყმაწვილო წიგნი”-ს გამოცემა № 6, ჭილაძის “კომერციული” სტ., 1906 წ.

28. წმიდანი მოწამენი დავით, კონსტანტინე და მოწამეთა მონასტერი. ქუთაისი, “კომერციული” სტ., ვ. ი. ჭილაძის და ამხ. 1906 წ.

29. გიგაური, ნატალია. შვილი უდანაშაულოდ დასჯილისა. დრამა ოთხ მოქმედებად რ. სურათად ნატალია რ. გიგაურისა. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1907 წ.

30. გრაკხი. აქვს თუ არა საქართველოს კანონიერი უფლება მოითხოვოს ავტონომია? (ისტორიულ-იურიდიული მიმოხილვა). ქუთაისი, “კომერ.” საბეჭდავი ჭილაძისა და ამხ-ბის, 1907 წ.

31. მალრაძე, ამბაკო. უშვილო ხელმწიფე. ზღაპარი ლექსად. გამოთქმული და გამოცემული ამბაკო ბესარიონის-ძე მალრაძისაგან. ქუთაისი, ჭილაძისა და ამხ. სტ., 1907 წ.

32. მალრადე, ამბაკო. ქალ-ვაჟის სიყვარული პავლე პეტრეს ძე შარიჭაძისა და ალექსანდრა დიმიტრი ბერაძის ასულზე. ლექსები შედგენილი და გამოცემული ამბაკო ბესარიონის ძის მალრადისაგან. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1907 წ.
33. სილოვანი. (ზუნდაძე, სილოვან). ილია ჭავჭავაძის სახსოვრათ. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1907 წ.
34. შეურიგებელი. სოციოლოგიური წერილები შეურიგებელისა. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1907 წ.
35. ჭავჭავაძე, ილია. რამოდენიმე სურათი, ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან. პოემა, ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1907 წ.
36. ჭიჭინაძე ალ., მოკლე საუბარი თუ როგორ უნდა ისწავლებოდეს პირველდაწყებითი კურსი გეოგრაფიისა, სამშობლოს აღწერის სანიმუშო პროგრამით. ა. ჭიჭინაძისა. ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1907 წ.
37. ანგარიში იმერეთის საეპარქიო სანთლის საწყობის ქონებისა. 1907 წლის, ქუთაისი: ჭილაძის და ამხ. “კომერც” საბეჭდავი, 1908 წ.
38. ოცხელი ი., მთავრიშვილი თ. და ყიფიანი ს. გუთანი. ოჯახსა და შკოლაში საკითხავი წიგნი. შედგენილი ქუთაისის სააზნაურო გიმნაზიის მასწავლებლების ი. ოცხელის, თ. მთავრიშვილის და ს. ყიფიანის-მიერ. ქუთაისი, თ. მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის გამოცემა, ქუთაისი, ვ. ი. ჭილაძის და ამხ. სტ., 1908 წ.
39. წესდება. ქუთაისის ვაჭართა პროფესიულ საზოგადოებისა. ქუთაისი, ჭილაძისა და ამხ. სტ., 1908 წ.
40. ანგარიში იმერეთის საეპარქიო სანთლის საწყობის წარმოებისა 1908 წლის განმავლობაში. ქუთაისი, ჭილაძის და ამხ. “კომერც” საბეჭდავი. 1909 წ.
41. Ланг В. Я. Горь от незнания, Кут. 1900.
42. Ланг В. Я. 25 лет : Опыт ветеринарно-санитарного обзора г. Кутаиси, Кут. 1901.
43. Устав Кутаисского женского сельско-хозяйственного общества “Шрома”, Кут. 1904.
44. Тонкмелис Правда об автокефалии Грузинской Церкви, Кут. 1905.
45. Устав профессионального общества торговцев города Кутаиса, Кут. 1907.
- ამრიგად, დღეისათვის ჩვენთვის ცნობილია ვარლამ ჭილაძის სტამბაში დაბეჭდილი 41 ქართული და 5 რუსული დასახელების წიგნი — დაახლოებით 3 პროცენტი 1921 წლამდე ქუთაისში დაბეჭდილი წიგნებისა. აქ დაბეჭდილი წიგნების ნაწილი დღემდე ეროადერო გამოცემად რჩება. სამწუხაროდ, ზოგიერთი მათგანი არ არის შეტანილი ქართული წიგნის ბიბლიოგრაფიაში.
- გარდა დასახელებული წიგნებისა, ვ. ი. ჭილაძის სტამბაში 1906 წელს დაიბეჭდა ანარქისტული მიმართულების გაზეთი “ძალა”, რომლის ერთადერთი ნომერი გამოიცა. ამასთანავე, აღნიშნულ სტამბაში იბეჭდებოდა მრავალფეროვანი საკანცელარო ბლანკები, სარეკლამო ფურცლები, სავიზიტო ბარათები და სხვა.
- ვარლამ ჭილაძის სტამბამ, XX საუკუნის დასაწყისში ქუთაისში არსებულ სხვა პოლიგრაფიულ საწარმოებთან ერთად, თავისი საქმიანობით დადებითი როლი შეასრულა ქუთაისის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

დამოწმებული ლიტერატურა

- ს. აბაშიძე, 1957 - ს. აბაშიძე, ნაწერები, თბ., 1957.
 “ღროება“ 1880 წ. 06.08. № 165, 1884 წ. № 127, № 213.
 პ. ვაჭრიძე, 1979 - პ. ვაჭრიძე, “როტაციონის ბრუნავს მანქანა“ ქუთ., 1979.
 გ. ვაჭრიძე, პ. ვაჭრიძე, 1995 - გ. ვაჭრიძე, პ. ვაჭრიძე, “ქუთაისი ქართველ მოღვაწეთა მოგონებებში“, ქუთ., 1995.
 “მწყემსი“, 1884 წ. 01.04. № 7 გვ .15, 6.”Кав. кал“, 1890 წ.
 ქუთაისის ცენტრალური არქივი, ფონდი 1, საქმე 985, ფურცელი 1-4.
 ქ.ც.ა; ფ. 108 ს. 1765 ფ .28, ფ. 29.
 ქ.ც.ა; ფ.14 ს. 517 ფ. 3
 ზ ჭიჭინაძე-ნიკოლოზ ბესარიონის ძე ლოლობერიძე და ქართული სტამბა 1627-1913წ. თბ., 1916.

MERAB KEZEVADZE

ON VARLAM CHILADZE’S PRINTING PRESS AND PUBLISHING HOUSE HISTORY

Among the printing presses existing in Kutaisi by the close of the 19th century and the beginning of 20th century Varlam Chiladze Printing House (1857-1928) holds one of the leading positions. It had different names in different periods: “V.Chiladzis Komertsiuli Stamba”, “Komertsiuli Sabechdavi V.Chiladzis da Amkhanagobis”, “V.Chiladzis da Amkhanagobis Komertsiuli Stamba,” “Komertsiuli Sabechdavi V.I. Chiladzisa”, “Chiladzis da Amkhanagobis Komertsiuli Sabechdavi”.

Varlam Childaze’s name as of a prominent citizen of Kutaisi is well-noted in the pre-soviet government (1921) political and economic life of the city. Varlam Chiladze was born in the village of Sajavakho in June, 5, 1857. He graduated from the Kutaisi Classical Gymnasium and then from Tbilisi Real School. He settled in Kutaisi in 1880 and together with the commercial activities took part in the community life being a member of the local legislature for a substantial length of tenure from 1888 to the Soviet annexation. He was a member of the Georgia’s national-democratic party. Besides, in different periods he was engaged in the management of the “Kutaisi Credit Bank” and the “Mutual-insurance Society” as a member of the corresponding governing boards.

Varlam Childaze took up commercial activities related to his printing business in 1880, when together with his brother, Ivane Chilade, he befriended (=made a contract with) P. Gerard, a bookstore proprietor. Commercial *Friendship* of A. Gerard and Chiladze Brothers’ did not last long. In 1883 Chiladze Brothers had their own bookstore in the Kutaisi downtown on Alexandre Andronikashvili Street – the place of the present TBC central office. Soon when Varlam Chiladze bought a house (Niko

Nikoladze's father's former house) on Tbilisi Street he moved his bookstore there. Variam Chiladze book store was a kind of literary-cultural saloon, a favorite venue of Kutaisi (and not only of Kutaisi) intelligentsia. The opening of the book store whet Varlam Chiladze's interest in publishing business. In 1884, making publicity in "Droeba", a newspaper, Varlam Childze informed that he had purchased the right to publish Akaki Tsereteli's works; soon he made the similar announcement about his purchase of the right of publishing Ilia Chavchavadze's works. In fact, we have two editions of Akaki Tsereteli's works published by Varlam Chelidze and of other authors, like, Simon Gugunava, Dimitri Eristavi, Silovan Khundadze and Kolkhideli, but Varllam Chelidze's publication of Ilia Chavchavadze's works has not yet been attested.

Varlam Childaze took an active role in the activities of "kartuli tsignis gamomcemelta amkhanagoba" (the guild of the publishers of the Georgian book) founded in Kutaisi, in 1892, which published books of 21 titles.

Publishing books necessitated the existence of the printing press. Varlam Childaze founded a companionship and in 1900 he bought a printing press that functioned the next ten years.

For the present we know 41 Georgian and 5 Russian books published in Varlam Chiladze printing press, altogether 3% of the books published in Kutaisi before the soviet period. Some of the books published in Varlam Chiladze's printing press are the sole editions, some of which have not even been registered in catalogues.

Apart from the books published here Varlam Chiladze published anarchist newspaper "dzala" (*The Power*) in 1906, only one number available. In addition to these Varlam Childaze's Printing Press produced forms, announcement sheets, visit cards and more.

Varlam Chiladze Printing Press, together with the other polygraph companies, played positive role in the socio-political and cultural-educational life of Kutaisi.